EFA
განათლების
კოალიცია

რა უნდა გავითვალისწინოთ 2020-2021 აკადემიური წლისათვის

რეკომენდაციები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

განათლების კოალიცია
2020 წელი

დისტანციურ განათლებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა, სკოლის დირექტორთა უკუკავშირი და რეკომენდაციები

მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სერიოზული ზიანი მიადგა განათლების სისტემას. განსაკუთრებით საგულისხმოა გამოწვევები სასკოლო განათლების დონეზე.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, როგორიც არის ტელესკოლის პროექტის განხორციელება, სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნის მხარდაჭერა, აპლიკაციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ზოგადი განათლების სისტემა კვლავ უამრავი პრობლემის წინაშეა. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს რისკი ვირუსის განვითარებასთან დაკავშირებით, რის გამოც, შესაძლოა მომდევნო აკადემიური წელი სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელდეს.

მიგვაჩნია, რომ მომდევნო აკადემიური წლისათვის აღნიშნული გამოწვევების შემცირების მიზნით, აუცილებლია საზაფხულო პერიოდის ეფექტიანად გამოყენება. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ ინკლუზიური და თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით. კონკრეტულად, დაგეგმარების პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დარგის სპეციალისტების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების (სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები) და მშობელთა მონაწილეობა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ განათლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და ამ მხრივ გამოწვეული პრობლემები მეტ ყურადღებას საჭიროებს როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირების ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების მხრიდან.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობისა და დისკუსიების ინიცირების მიზნით, 2020 წლის ივნის-ივლისის პერიოდში, განათლების კოალიციამ აწარმოა საკონსულტაციო პროცესი თითოეულ ზემოთჩამოთვლილ ჯგუფთან. კონსულტაციების მთავარი მიზანი იყო გამოგვეკვეთა სკოლების დახურვის შემდგომ წარმოქმნილი მთავარი გამოწვევები და იდეები განვითარებისათვის.

საკონსულტაციო პროცესს უძღვებოდნენ განათლების კოალიციისა და წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- **გიორგი ჭანტურია** - *განათლების კოალიციის დირექტორი*
- **მეგი კავთუაშვილი** - *მშობლები განათლებისათვის დირექტორი*
- **მაკა ბიბილეიშვილი** - *სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის დირექტორი*
- **რევაზ აფხაზავა** - *განათლების კოალიციის პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი*

გვსურს ასევე მადლობა გადავუხადოთ თითოეულ ადამიანს რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ შეხვედრებში.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

1 შემუშავდეს დისტანციური სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკა და სკოლების მახასიათებლებიდან (მდებარეობა, ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მოსწავლეთა კონტიგენტი და სხვა) გამომდინარე შეიქმნას განსხვავებული პოლიტიკის ინსტრუმენტები განსხვავებული სკოლებისათვის. მოცემული პოლიტიკა უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ეპიდემიის გავრცელების სხვადასხვა სცენარებზე რეაგირების მექანიზმებს განსხვავებული ტიპის სკოლებისათვის.

2 შეიქმნას დისტანციური სწავლების მართვის გზამკვლევი და რეკომენდაციები სკოლის ადმინისტრაციისათვის. გაიწეროს კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის, ხარისხის კონტროლისა და შეფასების მიმართულებით. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით თითოეულმა სკოლამ საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოახდინონს სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და მასში დისტანციური სწავლების მიმართულების დამატება. სასკოლო სასწავლო გეგმის დისტანციური სწავლების ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ყველა ტექნიკური, საორგანიზაციო, შინაარსობრივი დეტალი და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. უნდა მოხდეს სასკოლო სასწავლო გეგმის ხსენებული ნაწილის შესახებ სასკოლო მოსწავლეების, მშობლებისა და სასკოლო თემის სხვა ყველა წევრის მაქსიმალურად ინფორმირება.

3 სასკოლო სასწავლო გეგმის დისტანციური სწავლების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დისტანციური გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დრო, დისტანციური გაკვეთილების ცხრილი, შესვენებების ხანგრძლივობა, მოსწავლეთა შორის თავისუფალი ურთიერთობებისათვის განსაზღვრული პერიოდი. ასევე უნდა გაიწეროს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მშობლებთან კომუნიკაციის პერიოდულობა და მექანიზმები.

4 სკოლის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა დისტანციური სწავლების პლატფორმების სტატისტიკაზე და ყველა იმ მონაცემზე, რომელიც ინფორმაციას იძლევა პროცესის წარმართვის ეფექტიანობაზე. დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის პრინციპებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სასკოლო თემის ყველა წევრს.

5 დისტანციური სწავლების პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ ტრენინგებთან ერთად უნდა შემუშავდეს გზამკვლევები და ტრენინგ მოდულები დისტანციური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით და გავრცელდეს საუკეთესო პრაქტიკები. მასწავლებლებს მკაფიოდ უნდა განემარტოთ, როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა დისტანციური სწავლების გამოყენებით.

6 მნიშვნელოვანია აქტიური მუშაობა მშობელთა პედაგოგიზაციისა და მათთვის დამხმარე რესურსების შექმნის კუთხით. ამ მხრივ, აუცილებელია გარე აქტორების მონაწილეობა დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესებში.

7 შეიქმნას დამხმარე ციფრული რესურსები (სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, დავალებები, დამატებითი რესურსები) მასწავლებელთათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სასწავლო პლატფომის (LMS) შემუშავება და მის განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

8 მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივების წახალისება ხელმისაწვოდმობის გაზრდის კუთხით, როგორიცაა ინტერნეტზე წვდომა თუ მოწყობილობებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ, შესაძლოა შესაბამისი კამპანიების წარმოება.

9 მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კერძო პროვაიდერებთან, ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მაგ სასკოლო ინტერნეტ პაკეტების შექმნა, სტიპენდიების დაწესება და ა.შ.

10 შემუშავდეს მკაფიო სტრატეგია სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისათვის შრომითი პირობების გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ, მნიშვნელოვენია შრომითი პირობების გადახედვა დამლაგებლების, ექიმების, ფსიქოლოგისა თუ სხვა მომიჯნავე კადრებისათვის.

წინაპირობები

სამწუხაროდ, საქართველოში სასკოლო განათლების სისტემა უამრავი გამოწვევის წინაშე იდგა COVID19-ის დადგომამდეც, იქნება ეს მასწავლებელთა შრომითი უფლებები, კომპეტენციები, პროფესიული განვითარების საკითხები, სკოლის ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები, მშობელთა დაბალი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, ძალადობა სკოლებში, ცენტრალიზებული მართვის სისტემა და ა.შ. ბუნებრივია, მოცემულ პერიოდში გარკვეული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა. შესაბამისად, ამ ნაწილში, შევეცდებით წარმოვადგინოთ ის პრობლემები რაც ვირუსის შედეგად წარმოიქმნა ან გამწვავდა.

გამოწვევები დისტანციური სწავლების პროცესში

ემოციური მხარე - ბუნდოვანება და დაბალი მოტივაცია

> *ორ მცირეწლოვან ბავშვთან დავრჩი მარტო; თავიდან ძალიან გამიჭირდა ამასთან შეგუება*

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, პირველი პრობლემა და გამოწვევა სკოლების დახურვის შემდგომ, დაკავშირებული იყო სკოლებისა და მასწავლებლების ემოციურ მზაობასთან და მათ მიმღებლობასთან.

დისტანციური განათლება მოითხოვს სისტემურ მომზადებას და მასზე ეტაპობრივად გადასვლას, თუმცა, პანდემიის პირობებში, ქვეყნების უმრავლესობას, მათ შორის საქართველოს, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დაჩქარებული წესით, წინასწარი მომზადების გარეშე მოუწია. 2020 წლის 2 მარტიდან 16 მარტამდე საჯარო სკოლებში არდადეგები გამოცხადდა. ამის შემდგომ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 21 მარტს, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ამოქმედდა. მიუხედავად არსებული დროისა, მოსწავლეთა რეგისტრაცია microsoft teams-ში მხოლოდ აპრილის დასაწყისისათვის იყო დასრულებული. გარდა ამისა, სკოლებს სწავლის დაწყებისათვის არ მიუღიათ ინსტრუქციები დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისა თუ სხვა რეკომენდაციების შესახებ.

> *ინსტრუქციები მოვიდა მაშინ როდესაც უკვე დასრულებული გვქონდა სასწავლო პროცესის ორგანიზება.*

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეებს ჯერ არ აქვთ გამომუშავებული სწავლის საბაზო უნარები და საჭიროებენ მშობლების აქტიურ მხარდაჭერას

გარდა ამისა, გამოკითხულ დირექტორთა ნაწილის თქმით, მასწავლებლების დარწმუნების ეტაპი, რომ მათ მიეღოთ მონაწილეობა დისტანციური სწავლების პროცესში იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მათთვის.

ანალოგიური პრობლემები წარმოიქმნა მოსწავლეთა ნაწილთანაც, რომელთათვის მოუმზადებელი და ფორსმაჟორში განხორციელებული დისტანციური სწავლება მიუღებელი აღმოჩნდა.

ემოციური მზაობა და მოტივაციის უქონლობა როგორც მასწავლებლებში ასევე მოსწავლეებსა და მშობლებშიც, ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იყო სემესტრის ბოლოსაც. ამ კუთხით, უარყოფითი გავლენა იქონია პირველი სემესტრის შეფასების გადმოტანამ წლიურ შეფასებაში, რი-

თაც მოსწავლეებს კიდევ უფრო დაუქვეითდათ დისტანციური სწავლების მოტივაცია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა მასწავლებელთა პროფესიული გადაწვა.

> *„ონლაინ დავალებების დაგეგმვას მიჰქონდა ძალიან დიდი დრო. ყოველდღიურად ფიქრი რომ ხვალ რა გააკეთო, რომ ბავშვები დაინტერესო, იყო ყველაზე დამღლელი.“*
>
> *„მოტივაცია ბოლოსკენ ძალიან დაეცა; ივნისისკენ უკვე თითქმის აღარ შემოდიოდნენ ბავშვები;“*

ამ მიმართულებით, მშობლები საუბრობენ, რომ ონლაინ სწავლების პროცესში ნაკლებად იგრძნობოდა პედაგოგების მხრიდან ზრუნვა. სწავლებას ძირითადად ჰქონდა მოთხოვნის და დავალებულების ხასიათი. ზოგიერთმა სკოლამ ნაკლები ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პროცესი საგანგებო მდგომარეობის დროს და მაღალი სტრესის ფონზე მიმდინარეობდა და ბავშვებს პირველ რიგში სტრესის განეიტრალება და მშვიდი გარემო სჭირდებოდათ.

მოსწავლეების ნაწილს არ ჰქონდათ თავისუფლად კომუნიკაციის საშუალება და კონტაქტის შესაძლებლობა იყო მხოლოდ გაკვეთილებზე, სადაც ვერ ხდებოდა სოციალიზაცია.

ხელმისაწვდომობა და მასთან დაკავშირებული საკითხები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც სკოლები ვირუსის შემდგომ დადგნენ ეს იყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელმისაწვდომობა ინტერნეტსა და შესაბამის ხელსაწყოებზე (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი). სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო, მოსწავლეთა 30%-ს აღნიშნულზე წვდომა არ აქვს.[1] განსაკუთრებით მწვავე იყო ეს პრობლემა მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მიმართებაში და მთის და სოფლის სკოლების ნაწილში.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს არსებული რესურსების (ნეტ-ბუკების) ტექნიკური გაუმართაობის შესახებაც. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, მათი სიმძლავრე არ იყო საკმარისი თუნდაც Microsoft-teams-თან ხარისხიანად დასაკავშირებლად.

ამასთან ერთად, განათლების უფლების რეალიზებას ხელს უშლიდა მოსწავლეთა ჩართულობა შინამეურნეობებში.

> *წარმოიდგინეთ, გაზაფხულის პერიოდია, სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებულები მშობელთა უმეტესობა და როდესაც სწავლა დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, მიუხედავად იმისა რომ მშობლებთან კომუნიკაცია ასე თუ ისე ხერხდებოდა, მაინც გაჭირდა ბავშვების დაკავება სასწავლო დროით სახლში. ისინი ათასგვარ მიზეზს ასახელებდნენ, მაგრამ მიზეზი ნამდვილად ერთია, ეს არის ის რომ ისინი მშობლებს ეხმარებიან და იძულებულები არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავდნენ. ბავშვები ამით უბედურად გრძნობენ თავს და პირად საუბარშიც ასახელებენ ამას, რადგან სკოლა მათთვის იყო სოციალური გარემო, სადაც განტვირთვა უწევდათ, ერთმანეთთან შეხვედრა დიდ სიხარულს ანიჭებდათ და ეხლა გამოვიდა, რომ დასვენების პერიოდი კი არ გამოუვიდათ, პირიქით - ოჯახის საქმიანობაში იყვნენ ჩართულები.*

[1] https://www.oecd.org/pisa/data/2018database/

ამავე მიმართულებით, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო გოგონების ჩართულობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. სხვადასხვა შემთხვევებში, მშობლები არ აძლევდნენ მათ უფლებას teams-ში ჩართულიყვნენ.

> *გოგონებს პრობლემა ჰქონდათ მოიხმარონ მობილური ტელეფონები, ინტერნეტში თავისუფალი წვდომის პრობლემაც ჰქონდათ.*

მოსწავლეები რიგ შემთხვევებში ამბობენ, რომ მასწავლებლების ნაწილი არ ატარებდა გაკვეთილებს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ტელესკოლა იყო საკმარისი მოსწავლეთა განათლებისათვის.

ზოგიერთი მოსწავლე აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი არ იყო მორგებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

> *მე მყავს ძმა დაუნის სინდრომით, არც ერთი გაკვეთილი არ ჩატარებია, მხოლოდ მე და დედა ვამეცადინებდით ისე, როგორ შეგვეძლო.*

დისტანციური სწავლების პროცესი

> *ასე რომ გაგრძელდეს, ბავშვები დატოვებენ ამ სივრცეს*

ტექნიკური და ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა

დისტანციური სწავლების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ტექნიკური და ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა, როგორც მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებში.

მასწავლებლებს გაუჭირდათ ახალ პლატფორმებზე ადაპტირება და მათი ტექნიკური მართვა. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მოსწავლეთა მოტივირება, „კლასის“ მართვა, გაკვეთილების სწორად დაგეგმარება, შეფასება. ამავე დროს, მოსწავლეების და მშობლების ნაწილსაც არ ჰქონდა საკმარისი კომპეტენცია დამოუკიდებლად ემართათ ესა თუ ის პროგრამა, შესაბამისად მასწავლებლებს და დირექტორებს უწევდათ ან უფრო მარტივ პლატფორმაზე გადასვლა (facebook) ან დეტალური ინსტრუქციების მომზადება.

> *„ზოგიერთმა მაუსის ჭერაც კი არ იცოდა და როგორ უნდა შეეთავაზებინათ საინტერესო გაკვეთილები.“*
>
> *„ოღონდ ტექნიკური პრობლემები მოგვარებულიყო და ხარისხს ვინ ჩივის.“*
>
> *„ანუ გამოჩნდა მასწავლებელთა კომპეტენციის პრობლემა, რადგან ეს იგივეა, რომ მოსწავლეები კლასში დავაბათ და ვასმენინოთ ჩვენი მონოლოგისათვის.“*

მასწავლებელთა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ძალიან მალე მოსწავლეებს შეეზღუდათ წვდომა სხვადასხვა ფუნქციებზე Microsoft teams-ში, ამ ყველაფერს ხელს უწყობდა ისიც, რომ თავად პლატფორმა არ იყო მორგებული ბავშვების ინტერესებზე

> *„პლატფორმები არ არის ბავშვზე ორიენტირებული რაც პროცესში მათ პასიურობას იწვევდა.“*
>
> *„სოციალური პრობლემების თუ სხვა საკითხების გამო, ერიდებოდათ კამერის ჩართვა; ხოდა, თუ ვერ ხედავ და ხმა არ გესმის, როგორ უნდა წარმართო საგაკვეთილო პროცესი;“*

პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება

ზემოთხსენებულ საკითხთან მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვისა თუ კიბერ-ბულინგის საკითხები, რომელზეც ცნობიერება როგორც მასწავლებლებში ასევე მოსწავლეებსა და მშობლებში ძალიან დაბალია.

მშობლები ამბობენ, რომ მასწავლებლების მხრიდან ელექტრონული კომუნიკაციის არასათანადო უნარები, ხშირად ხელს უწყობდა კიბერ-ბულინგს მოსწავლეებს შორის. ბავშვები უკეთ ფლობენ ელექტრონულ მოწყობილობებსა და პროგრამებს რაც მათ მეტი მანიპულაციის საშუალებას აძლევს ელექტრონულ სივრცეში. მშობლების ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემა შეიქმნა ბავშვების გაწევრიანებამ მათი ასაკისთვის შეუსაბამო ინტერნეტ პლატფორმებზე, რამაც დამატებით სტრესულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი.

> *სკოლამ არ წაახალისოს ასაკისთვის შეუფერებელ სოციალურ ქსელებში ბავშვების ჩართვა. აღმოიფხვრას ის შეცდომები, რაც უკვე დაშვებულია. სკოლამ არ გამოიყენოს ბავშვებთან ურთიერთობისთვის Facebook-ი და მესენჯერი*

დამხმარე რესურსების სიმწირე

პრობლემას ამწვავებდა ისიც, რომ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ონლაინ საგანმანათლებლო რესურსები და დამხმარე მასალები ქართულ ენაზე. რესურსების შექმნასა და ადაპტირებას კი ძალიან დიდი დრო მიჰქონდა. ამასთან ერთად, მასწავლებლებს სჭირდებოდათ დამატებითი ინსტრუქციები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის წარმართვის, მოსწავლეთა შეფასების თუ არსებული ელექტრონული რესურსებისა და პლატფორმების სწორად ასათვისებლად.

მშობლებისთვის პრობლემას დამხმარე რესურსების სიმწირესთან ერთად პრობლემას წარმოადგენდა მათი გაბნევა ინტერნეტ სივრცეში. არ არსებობდა ერთიანი პლატფორმა სადაც მშობლები მარტივად მიაგნებდნენ სანდო დამხმარე რესურსებს კლასებისა და საგნების მიხედვით.

მოსწავლეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ონლაინ გაკვეთილებზე დამხმარე რესურსების გამოყენების სიმცირის გამო:

> *საგაკვეთილო პროცესის მონოტონურობა და მხოლოდ სალექციო ფორმატი იყო უინტერესო და მოსწავლეები თითქმის არ უსმენდნენ ასეთ გაკვეთილებს*

პროცესის მონიტორინგი და მართვა

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლებმა მუშობა მკაფიო ინსტრუქციების გარეშე დაიწყეს. შესაბამისად, დისტანციური სწავლების იდეა და შესაძლებლობები მათი მხრიდან თავიდანვე სათანადოდ არ იყო გაცნობიერებული. შედეგად, სკოლების ნაწილის ცდილობდა სწავლების სინქრონული ფორმით განხორციელებას და 45 წუთიანი გაკვეთილის ჩატარებას. სკოლების დიდი ნაწილისთვის ასინქრონული სწავლების შესაძლებლობა ბოლომდე აუთვისებელი დარჩა. გარდა ამისა, მშობლების ნაწილისათვის, მნიშვნელოვან პრობლემა იყო რიგ შემთხვევებში სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ხარვეზები სკოლის მხრიდან, რაც გამოიხატებოდა ცხრილების მოუწესრიგებლობით, გაკვეთილების არათანაბარი ხანგრძლივობით, მასწავლებლების დაგვიანებებითა და გაკვეთილების გაცდენების უკონტროლობითა და ა.შ.

პროცესის მართვის თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენდა კომუნიკაცია სკოლის საზოგადების წევრებს შორის. აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებდნენ ყველა საფეხურის მოსწავლეთა მშობლები თბილისიდან, სხვა დიდი ქალაქებიდან და სოფლებიდან. ერთი მხრივ კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის. მეორე მხრივ, კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. პირველ შემთხვევაში, სკოლების/დამრიგებლების უმრავლესობას არ ჩაუყენებია მოსწავლეების ოჯახები საქმის კურსში, რა მოლოდინი ჰქონდათ მათგან. რაში და როგორ უნდა დახმარებოდნენ შვილებს. ასევე, არ გაუცვნიათ მათთვის დისტანციურად ჩატარებული სასწავლო წლის მიზანი. იმ სკოლებში, სადაც მშობელთა ჩართულობა მინიმალურ სტანდარტს მაინც აკმაყოფილებდა (დამრიგებელს რეგულარული კომუნიკაცია ჰქონდა მშობლებთან), დისკომუნიკაცია ნაკლებად გამოიკვეთა. ზოგადად, კი მშობლებმა დაასახელეს, რომ თავად დამრიგებლებმა არ იცოდნენ, რა მიმართულებით განვითარდებოდა სწავლა-სწავლების პროცესი. არ ჰქონდათ მკაფიოდ გამო ხატული მიზნები. არ ტარდებოდა რეგულარული შეხვედრები მშობლებთან, პროცესების გაანალიზება გაუმჯობესების მიზნით. კომუნიკაცია დგებოდა ერთადერთი მიზნით, მშობელი გამოეყენებინათ ბავშვის ზედამხედველად, თუკი ის არღვევდა წესრიგს. თუმცა არც ერთ შემთხვევაში, მშობლები არ ასახელებენ, რომ მათ სკოლასთან ერთად შეიმუშავეს ინტერნეტ-გაკვეთილებზე ქცევის წესები.

მოსწავლეები თვლიან, რომ მრავალრიცხოვან კლასებში შეუძლებელი იყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა სრულფასოვანი ჩართვა:

> *მე არ ვარ ძალიან აქტიური მოსწავლე და არ შემიძლია თავი გამოვიჩინო გაკვეთილზე. ვერ ვახერხებ ვინმეს ხმა გადავფარო და „ჩავეჩრა“ საუბარში, ამიტომ თითქმის ყოველთვის ვიყავი ჩუმად, ბოლოს მასწავლებელმა ჩათვალა, რომ არ ვიყავი აქტიურად ჩართული გაკვეთილებზე და არ ვმეცადინეობდი, არადა ასე არ იყო. შესაბამისად მქონდა უსამართლობის განცდა.*

მოსწავლეთა შეფასება

მოსწავლეთა შეფასების კომპონენტი ერთ-ერთი ყველა დიდი გამოწვევა იყო სკოლებისათვის. ამ მხრივ, სიტუაციას კიდევ უფრო დამაბნეველს ხდიდა სამინისტროს მხრიდან პოზიციებისა და ინსტრუქციების ხშირი ცვალებადობა ამ კომპონენტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გამოწვევა იყო მასწავლებლების მხრიდან განმავითარებელი შეფასების არასწორად აღქმაც -

> *ბევრ მასწავლებელს განმავითარებელი შეფასება კარგად არ ესმის და ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.*

ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში როგორც მშობლებისათვის ასევე მოსწავლეთათვის პრიორიტეტული იყო განმსაზღვრელი შეფასების მიღება. ასევე დავალებები (მათ შორის კომპლექსური) არ იყო გათვლილი სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე და ძირითადად ორიენტირებული იყო მაღალი აკადემიური უნარების მქონე მოსწავლეებზე, რაც სუსტ მოსწავლეებში იმედგაცრუებას იწვევდა.

მოსწავლეები და მშობლები ასევე ასახელებენ პრობლემურ საკითხად დავალებების დიდ მოცულობასა და მათ ერთფეროვნებას. დაწყებით საფეხურზე გამოიკვეთა, რომ ბავშვისთვის დავალების შესრულება სრულად დამოკიდებული იყო მშობლის ჩართულობის ხარისხზე. კერძო სკოლაში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს გვიან ღამემდე უწევდათ კომპიუტერთან ჯდომა საშინაო დავალების შესასრულებლად.

ზოგადად შეფასების საკითხი არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული, რამაც პრობლემები შეუქმნა მოსწავლეებს:

> *თავიდან ვიცოდით, რომ შეფასება არ მოხდებოდა ამიტომ ცოტა არასერიოზულად მივუდექით დისტანციურ სწავლებას. ზოგი სოფელში წავედით, ზოგი სულ არ შევდიოდით გაკვეთილებზე, არც დავალებებს ვაკეთებდით. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ნიშნები იწერება და შეგვექმნა პრობლემა.*

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, განმავითარებელი შეფასება სიახლე აღმოჩნდა სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მათზე. ანალოგიურად, სიახლე იყო კომპლექსური დავალებების გამოყენება, რაც გამოწვევა აღმოჩნდა როგორც მასწავლებლებისათვის ასევე მოსწავლეთათვის.

რეკომენდაციები განვითარებისათვის

რეკომენდაციების კუთხით, გამოიკვეთა როგორც საშუალოვადიან ასევე მოკლევადიან ვადაში მოგვარებადი საკითხები. ძირითადი რეკომენდაციები ეხება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, სკოლის ადმინისტრატორთა გაძლიერებას, სასწავლო პროცესის მართვისა და ხელმისაწვდომობის საკითხებს.

სკოლის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდა

საკონსულტაციო პროცესში მონაწილე დირექტორთა თქმით, მსგავს პერიოდში მათთვის მნიშვნელოვანია სამინისტროს მხრიდან სტიმულის მიცემა და მხარდაჭერა, თუნდაც განცხადების დონეზე. ეს დამატებითი მუხტი იქნებოდა და მეტ გამბედაობას შესძენდა მათ.

მომდევნო სემესტრისათვის, გამოიკვეთა რომ აუცილებელია მკაფიო ინსტრუქციებისა და მითითებების შემუშავება სკოლების გახსნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ჰიგიენურ-სანიტარულ ნორმებთან მიმართებით. ამ მხრივ, გამოითქვა მოსაზრება რომ საჭიროა სკოლის ექიმების გადამზადება და მათი შრომითი პირობების გაუმჯობესება. გარდა ამისა, შესაძლოა თანამშრომლობის დაწყება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტებისათვის სტაჟირების პროგრამის შეთავაზების კუთხით. ამ ტიპის გადაწყვეტილების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება სამინისტროს მხრიდან აქტიური კამპანიის წარმოება და სტუდენტებისათვის გარკვეული სარგებლის შეთავაზება (მაგ. უფასო ტრანსპორტი, კვება, კრედიტები სასწავლებლებში და ა.შ.).

ამავე საკითხთან მჭიდრო კავშირშია სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის, განსაკუთრებით დამლაგებელთა შრომითი პირობები. სამწუხაროდ, სკოლის ადმინისტრაციის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა განსჯის საგანი და აქამდე პოლიტიკის დღის წესრიგში არ იდგა, მაშინ როდესაც მასწავლებელთა ანაზღაურებაზე მუდმივად იყო საუბარი. შესაბამისად,

ამ მხრივ უკეთესი პირობების შეთავაზება აუცილებელია. კიდევ ერთხელ, განსაკუთრებით საგულისხმოა ექიმებისა და დამლაგებელთა ანაზღაურების საკითხი, რადგან, მაღალი ალბათობით, მათი საქმიანობა გაცილებით უფრო შრომატევადი გახდება. აქვე, საგულისხმოა რომ დამლაგებლის მაქსიმალური ანაზღაურება არის 372 ლარი, 1800+ ბავშვიან სკოლაში. 200 მოსწავლიან სკოლაში მაქსიმალური ანაზღაურება შეადგენს 210 ლარს, 300-მდე – 228 ლარს, 530-მდე – 264 ლარს და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე დაბალია.

სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა

სასწავლო პროცესის ეფექტიანად მართვისათვის, მომდევნო სემესტრში სკოლების ოპერირებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რისკების გათვალისწინება და გადაწყვეტილების ამგვარად მიღება. შესაბამისად, მათი თქმით, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობა.

გარდა ამისა, აუცილებელია რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ შეუწყოს ხელი არსებული პრობლემების გამწვავებას. მაგ. თუ კონკრეტულ სკოლას მიეცემა შესაძლებლობა ჩვეულებრივ რეჟიმში იფუნქციონიროს, მაგრამ ახლო მდებარე სკოლას მოუწევს დისტანციურ რეჟიმში სწავლება, ამ შემთხვევაში, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა მეორე სკოლიდან ბავშვების გადინებას შეუწყოს ხელი. შესაბამისად, აუცილებელია ყველა ტიპის სცენარის მომზადება და მათი კარგად გააზრება.

ამასთან, აუცილებელია კონკრეტული და ალტერნატიული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შემუშავება სკოლებისათვის. გარდა ამისა, მონაწილეთა თქმით, აუცილებელია ბეჭდური ჟურნალებიდან ელ. ჟურნალებზე გადასვლა, ასევე ამ უკანასკნელის ტექნიკურად უფრო დახვეწა.

გარდა ამისა, დღესდღეობით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) ცენტრალიზებულად მართავს სკოლების მართვის ელექტრონულ სისტემას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, სკოლებს დიდი ძალისხმევის გაწევა უწევთ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციას მოსაძიებლად.

> *იყო შემთხვევები როდესაც სკოლის ბაზები სერვერებიდან წაიშალა და ამან უამრავი პრობლემა შეგვიქმნა.*

შესაბამისად, შემოთავაზებული ვერსია არის რომ შემუშავდეს დიფერენცირებული მიდგომა, სადაც იმ სკოლებს რომლებიც სურვილს გამოთქვამენ თავად აიღონ მართვის სადავეები ხელში, მიეცეთ ამის უფლება. ხოლო ისინი ვისაც ამის სურვილი არ აქვთ – ცენტრალიზებულად მართოს EMIS-მა.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა IT მენეჯერების სერტიფიცირების საკითხიც, იმისათვის რომ მათ მიმართ გაიზარდოს სანდოობა (გადაწყვეტილების მიმღებთაგან) და მიეცეთ მეტი ავტონომიურობა.

შეფასების კუთხით, მონაწილეთა თქმით უმჯობესი იქნება განმავითარებელი შეფასების ეტაპობრივად შემოტანა საბაზო საფეხურიდან დაიწყოს, მაშინ როდესაც მოსწავლეებიც, მასწავლებლებიცა და მშობლებიც ამას მიჩვეულები არიან. კონკრეტულად, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან არ დაიწყოს განმსაზღვრელი შეფასების შემოღება და გადავადდეს მაგ. ერთი სემესტრით. პარალელურად, უმჯობესი იქნება აღნიშნული შეფასება არ მოიხსნას მე-12 კლასში, რადგან მოსწავლეებს მოტივაცია მთლიანად ეკარგებათ.

ამ მიმართულებით ფიქრობენ მშობლებიც და თვლიან, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს სკოლის ონლაინ მართვის სტრატეგია, რათა ცალკეული პედაგოგის კეთილ ნებაზე არ იყოს დამოკიდებული ჩაატარებს თუ არა და როგორი ხარისხის გაკვეთილს ჩაატარებს. მშობლები ასევე ხაზს უსვამენ სკოლასთან (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, დამრიგებლები) კომუნიკაციის გამართვას. ისინი მიიჩნევენ, რომ უმჯობესია სკოლის მასწავლებლებთან ერთად სკოლის ადმინისტრაციაც აქტიურად იყოს ჩართული მშობლებთან კომუნიკაციაში. იყოს უფრო ეფექტიანი უკუკავშირი,

მკაფიოდ განსაზღვრული მოკლევადიანი მიზნები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები და სკოლასთან კომუნიკაციის მექანიზმები.

მშობლები და მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გადაწყობა ელექტრონული სწავლებისათვის, მოხდეს მისი განტვირთვა, შემცირდეს გაკვეთილების ხანგრძლივობა, გათვალისწინებული იყოს შესვენებები და ონლაინ ჩართული მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება. ასევე მნიშვნელოვანია დავლებების გამარტივება და უფრო სახალისო და შემოქმედებითი დავალებების მიცემა მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ შესრულებულ თითოეულ დავალებებზე გაკეთდეს უკუკავშირი მასწავლებლის მხრიდან და არცერთი დავალება არ დარჩეს შეფასების გარეშე, რათა მოხდეს მოსწავლეთა მოტივაციის შენარჩუნება.

ხელმისაწვდომობა

როგორც აღნიშნულია, ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სკოლებისათვის. ამ მხრივ, გამოიკვეთა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაძლიერების აუცილებლობა. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ საჭიროა გაცილებით ქმედითი ნაბიჯების გადადგამ ინტერნეტ-პროვაიდერებთან მიმართებით. მაგ. შესაძლებელია შემუშავდეს მასწავლებლის, მოსწავლის თუ სკოლის ინტერნეტ პაკეტები. ამასთან, მოსწავლეებთან შესაძლოა გარკვეული ფილტრების დაყენება, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ინტერნეტის სისწრაფეს და, მეორე მხრივ-უსაფრთოხების საკითხებს. ხელმისაწვდომობის საკითხებში მშობლები ზემოთქმულთან ერთად აუცილებლად მიიჩნევენ კომპიუტერული ტექნიკის ან სმარტფონების დარიგების პროგრამების ამოქმედებას დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის.

რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სკოლების მხრიდან გამოიკვეთა კომუნალური გადასახადების შემცირების საკითხიც. კონკრეტულად, შესაძლებელია სკოლებისათვის გარკვეული შეღავათის დაწესება რადგან ისინი არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას და შესაძლოა მათთვის გაცილებით დაბალი ტარიფის დაწესება.

> *მაგალითად წყლის ტარიფი არის უძვირესი. ხომ შეიძლება ამ მიმართულებით სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რითიც სკოლებს გაცილებით მეტი რესურსი დარჩებათ უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.*

მასწავლებლების კომპეტენციების განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო, რომელიც ყველა ჯგუფის მიერ დასახელდა. ამ მიმართულებით, გამოიკვეთა დისტანციური სწავლების კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა, მასწავლებლების გაძლიერება მოსწავლეთა შეფასების კუთხით.

> *მაგალითად, იქნებ გაკეთდეს განმავითარებელი შეფასების მოდული, კურსი, რომელსაც მასწავლებლები თავისით გაივლიდნენ.*

გარდა ამისა, წამყვან საკითხად დასახელდა მასწავლებელთა გაძლიერება სტრესის მართვის, პროფესიული გადაწვის რისკების არიდების, საქმიანობის ეფექტიანად მართვის და სხვა მსგავსი თემატიკის მიმართულებით.

მშობლები და მოსწავლეები თვლიან, რომ ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა განივითარონ ტექნიკური უნარები დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარმართვისათვის (ეკრანის გაზიარება, კამერასთან მუშაობა, ელექტრონული კლასში ჯგუფის ტექნიკური მართვა). მოსწავლეები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სკოლას აკისრებენ მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიმართულებით, მასწავლებელთა რაოდენობიდან, დროის სიმცირიდან და პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელია გარე აქტორების გაძლიერება, როგორიცაა საგნობრივი ასოციაციები, თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა.

და ბოლოს, მონაწილე ჯგუფების აზრით, სასარგებლო იქნებოდა ტელე-სკოლის პროგრამაში ზემოთჩამოთვლილ თემატიკაზე „მასწავლებლის საათის“ დამატება. ანალოგიური კარგად იმუშავებდა მშობელთა პედაგოგიზაციის მიმართულებითაც.

სასწავლო რესურსების შექმნა, ორგანიზება და გამოყენების წახალისება

საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა მასწავლებლებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილების მიმღებთა ძალისხმევა მიიმართოს პროცესის მართვაზე და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე და არა თავად რესურსების შემუშავებაზე. შესაბამისად, საჭიროა გარე აქტორების წახალისება და მათთვის სათანადო გარემოს შექმნა, იმისათვის რომ მათ თავად შეიმუშაონ შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები.

მონაწილეთა თქმით, მათთვის სასურველი იქნებოდა დავალებების ბანკის, შეფასების რუბრიკების, საგანმანათლებლო თამაშების, ინტერაქტიული დავალებების შემუშავება და არსებობა. ასევე, გამოითქვა მოსაზრება რომ არსებობდეს ღია სივრცე სადაც მასწავლებლებს ექნებოდათ შესაძლებლობა გააზიარონ მათივე შექმნილი რესურსები.

მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში მეტად იყოს გამოყენებული ელ. რესურსები: ფილმები, ქვიზები, განმავითარებელი თამაშები;

ტელე-სკოლის მიმართულებით, აღინიშნა რომ მნიშვნელოვანია დამატებითი ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შემუშავება თუ როგორ უნდა გამოიყენონ აღნიშნული მასალები მასწავლებლებმა. ამასთან, რიგ შემთხვევებში, სასურველი იქნებოდა მეტი კავშირი იყოს ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმებთან.

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დისტანციური სწავლება მიმდინარეობდეს შესაბამის საგანმანათლებლო პლატფორმებზე (მარტივად დასარეგისტრირებელ) და არა სხვადასხვა სოციალური ქსელების გამოყენებით:

> *მასწავლებლებს მკაცრად უნდა მოეთხოვებოდეს გამოიყენოს დისტანციური სწავლების პლატფორმა და არა მესენჯერი, ფეისბუქი, მეილი; წახალისდნენ ის მასწავლებლები, რომლებიც ეფექტურად იყენებენ პლატფორმებს და ხარისხიანად წარმართავენ დისტანციური სწავლების პროცესს.*

ასევე ფიქრობენ, რომ ერთ სკოლაში უნდა გამოიყენებოდეს ერთი პლატფორმა ყველასთვის:

ასევე მნიშვნელოვანია ერთი სკოლის ფარგლებში გამოყენებული იყოს ერთი პლატფორმა, სხვადასხვა პლატფორმებზე სხვადასხვა გაკვეთილების წარმართვა არის მოუხერხებელი და დამაბნეველი.

მოსწავლეები თვლიან, რომ

სასურველია დისტანციური სწავლების პლატფორმები გამოყენებული იქნას ჩვეულებრივ პირობებშიც. კარგი იქნება დავალებები მასწავლებლებს მიეწოდებოდეს დისტანციურად და ასევე დისტანციურად უბრუნდებოდეს მოსწავლეს უკუკავშირი; გაგრძელდეს პლატფორმაზე ქვიზების გამოყენება და ამ ფორმით შემაჯამებელი სამუშაოების განხორციელება;
მასწავლებლებმა მოსწავლეებს აუტვირთონ პრეზენტაციები, მიუთითონ ფილმების ბმულები, საკითხავი მასალები, გამოიყენონ სასწავლო თამაშები. მოსწავლეებს მიეცეთ გარკვეული დრო და რესურსი კონკრეტული თემების და საკითხების დასამუშავებლად. შემდეგ მოახდინოს თვითშეფასება, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუჭირდა და ა. შ. სამუშაოების შესასრულებლად. ეს პროცესი მოსწავლეს დაეხმარება გამოიმუშაოს დროის მენეჯმენტის და თვითსწავლის უნარი.

და ბოლოს, სასურველია მოხალისეობის წახალისება სტუდენტებსა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებში, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში.

EFA

განათლების
კოალიცია